საიდ. N81790/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №115-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით, განიხილა კომპანიის „ა. ნატერმან & სიე. გმბჰ" (A. NATTERMANN & CIE GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №115-03/15), რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 მაისის N840/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ" (საიდ. N81790/03) რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება (მე-5 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ" (საიდ. N81790/03) რეგისტრაცია ეწინააღმდეგება კანონს, ვინაიდან არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი. კერძოდ, აპელანტის წარმომადგენელი განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ" (საიდ. N81790/03) მსგავსია კომპანიის „ა. ნატერმან & სიე. გმბჰ" (A. NATTERMANN & CIE GmbH) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქართველოში უფრო ადრინდელი პრიორიტეტით დაცული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა - „ESSENTIALE" (რეგ. N4839). სასაქონლო ნიშანი - „ESSENTIALE" (რეგ. N4839) საქპატენტში დარეგისტრირდა 1997 წლის 28 მარტს და სარგებლობს უფრო ადრეული პრიორიტეტით ვიდრე სადაო სასაქონლო ნიშანი - „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ" (საიდ. N81790/03). აპელანტის წარმომადგენლის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი - „ESSENTIALE" (რეგ. N4839) წარმოადგენს ლათინური, ასომთავრული შრიფტით შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს, ხოლო სადაო სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ" (საიდ. N81790/03) შესრულებულია სამ ენაზე. აპელანტის წარმომადგენლის მტკიცებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ფაქტობრივად იდენტურია. აპელანტის პოზიციით, სასაქონლო ნიშნების ზოგადი და ობიექტური შეფასება ნათელს ხდის, რომ სასაქონლო ნიშნების სიგრძე (ასოთა რაოდენობა) იდენტურია, ასევე იდენტურია ასოთა თანმიმდევრული წყობა. განსხვავებულია

მხოლოდ ასო „T“ და „C“, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას. აპელანტის წარმომადგენლის აზრით, სასაქონლო ნიშნები ფონეტიკური თვალსაზრისით იდენტურია. ქართველი მომხმარებლის მიერ სასაქონლო ნიშნები - „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) და „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ” (საიდ. N81790/03) გამოითქმის, როგორც „ესენციალე“. აპელანტი მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნების უმნიშვნელო განსხვავებიდან გამომდინარე, არსებობს ცნობილ პრეპარატთან და მწარმოებელთან ასოციაციის, დაკავშირებისა და სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) იმიტაციის მცდელობა. აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, სადაო სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „კბილის დასაბჟენი საშუალებები, კბილის ტვიფრის დასამზადებელი საშუალებები; დეზინფექტანტები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი საშუალებები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები“. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE“ საქართველოში დაცულია ასევე მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „ფარმაცევტული ნაწარმი“. ამასთან, 2015 წლის 02 ნოემბერს აპელანტის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა, რომლის თანახმად, აპელანტი მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) საქართველოში სარგებლობს კარგი რეპუტაციით. დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლებში აპელანტი მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის როგორც „გ“ ასევე „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი. აპელანტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საქონლის ჩამონათვალის მცირედი განსხვავებისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ორივე სასაქონლო ნიშანი განცხადებულია ერთი და იგივე კლასისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ სადაო და აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი ფაქტობრივად იდენტურია, აპელანტი თვლის, რომ სასაქონლო ნიშნების და მწარმოებლების აღრევის შესაძლებლობის ალბათობა მაღალია, მათ შორის ასოცირების შედეგადაც. აპელანტის წარმომადგენლის მტკიცებით, ადრეული პრიორიტეტით (1997) საქართველოში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნით -

„ESSENTIALE“ მონიშნული პრეპარატი „ესენციალე“ საქართველოში იყიდება სულ მცირე 2011 წლიდან, შესაბამისად, პრეპარატი „ესენციალე“ ცნობილი იყო საქართველოში სადავო განაცხადის შეტანამდე მრავალი წლით ადრე. აღნიშნულის დასადასტურებლად აპელანტმა სააპელაციო პალატას წარუდგინა საბაჟო დეკლარაციები. ამასთან, აპელანტის წარმომადგენლის მტკიცებით, პრეპარატი „ესენციალე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სამკურნალო საშუალებების რეესტრში რეგისტრირებულია 2014 წლის 16 სექტემბერს და ძალაშია 2019 წლის 16 სექტემბრამდე. აღნიშნულის დასადასტურებლად აპელანტმა წარმოადგინა სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობები. აპელანტის მტკიცებით, პრეპარატი „ესენციალე“ მრავალი წლის განმავლობაში იყიდება საქართველოს ბაზარზე და ხდება მისი რეკლამირება ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით. სააპელაციო საჩივარზე თანდართულია სარეკლამო ფაილი, რომლის ტრანსლირებაც ხდებოდა საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი ბოლო წლების განმავლობაში. აპელანტის წარმომადგენლის აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადს ხდის, რომ სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE“ და პრეპარატი „ესენციალე“ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობს მრავალი წელია. პრეპარატი ცნობილი გახდა საქართველოში 10 წელზე დიდი ხნით ადრე ვიდრე, განხორციელდა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნითსაქპატენტში განაცხადის შეტანა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად, აპელანტმა სააპელაციო პალატაში წარმოადგინა: შპს „ავერსი ფარმას“ წერილი, რომელშიც მითითებულია შპს „ავერსი ფარმას“ მიერ 2011-2014 წლებში პრეპარატ „ესენციალეს“ და „ესენციალე ფორტეს“ იმპორტისა და რეალიზაციის მონაცემები და სხვა მტკიცებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და

მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 მაისის N840/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ” (საიდ. N81790/03) რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას.

გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „უნიმედ გრუპ კორპ“ წარმომადგენელი არ ეთანხმება აპელანტის მოსაზრებას. თავის პოზიციაში გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადებზე, კერძოდ სააპელაციო პალატის დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანის სამთვიან ვადაზე. მხარის პოზიციით, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი შემოსულია 2015 წლის 24 აგვისტოს, სააპელაციო საჩივრის განხილვის სამთვიანი ვადა გასულია, რაც გულისხმობს, რომ სააპელაციო პალატის უარყოფითი გადაწყვეტილება უკვე არსებობს. შესაბამისად, მხარე ეჭვქვეშ აყენებს სააპელაციო საჩივრის განხილვის საჭიროებას.

გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი სადაოდ ხდის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, კერძოდ იგი განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივარში აპელანტი კომპანია ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 მაისის N840/03 ბრძანება, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ“ (საიდ. N81790/03) დარეგისტრირდა მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. მოთხოვნის საფუძვლად კი საჩივარში მითითებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. მხარე აღნიშნავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 28-ე მუხლები განასხვავებენ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობასა და ძალადაკარგულად გამოცხადებას, რასაც

კანონი უკავშირებს, არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველს, არამედ განმხილველ ორგანოსაც. გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაში სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, მითითებულია, რომ მხარე ითხოვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას, გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო საჩივარში აპელანტი ითხოვს რეგისტრაციის ბათილობას და არა გაუქმებას რაც კანონის 28-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს სასამართლოს პრეროგატივას და ამავე მუხლის მიხედვით, საქპატენტი არ არის უფლებამოსილი ორგანო იმსჯელოს სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე. მხარე სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს უკავშირებს ამავე კანონის 15[1] მუხლის მე-8 პუნქტს და სადაოდ ხდის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) პრიორიტეტის თარიღს. მხარე ასევე მიუთითებს იმაზე, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი საქპატენტის მიერ გაცემული სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) რეგისტრაციის შესახებ მოწმობა და ამავე ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია.

გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს აპელანტი კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე. კერძოდ, მხარე სადაოდ ხდის შპს „ავერსი ფარმასა“ და შპს „სანოფი-ავენტის პრაივიტ კო“-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეთანხმების მხარე არის კომპანია „სანოფი-ავენტის პრაივიტ კო“ და არა აპელანტი კომპანია „ა. ნატერმან & სიე. გმბჰ“ (A. NATTERMANN & CIE GmbH). ამავე ხელშეკრულების 1.1 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე გამყიდველი მყიდველს გადასცემს ტერიტორიაზე პროდუქციის დისტრიბუციის უფლებას. მხარის განმარტებით, აღნიშნული გულისხმობს, რომ გამყიდველი მყიდველს გადასცემს ერთ-ერთი განსაკუთრებული უფლების განხორციელების უფლებას. ასეთი გადაცემის

უფლებით კი სარგებლობს ის სუბიექტი, რომელიც არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი. „სანოფი-ავენტის პრაივიტ კო“ არ არის სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) მფლობელი. მხარე ასევე განმარტავს იმ ფაქტს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავედებიან ფონეტიკურად, კერძოდ, სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) შესრულებულია მხოლოდ ლათინური ანბანით, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სამი სხვადასხვა ანბანით. ამასთან, მხარისათვის გაუგებარია, თუ რა ფაქტობრივი გარემოების დადასტურება სურს აპელანტს სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობების და საბაჟო დეკლარაციების წარმოდგენით.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელის პოზიცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია, და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა.“

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) წარმოადგენს ლათინური ასოებით, ასომთავრულად შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს. სადაო სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ” (საიდ. N81790/03) შესრულებულია ქართული, ლათინური და კირილიცის ანბანით. იდენტურია აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის და გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული სიტყვიერი ნაწილის პირველი ხუთი ასო „ESSEN“ და ბოლო ოთხი ასო „IALE“. ერთადერთ განსხვავებას მათ შორის წარმოადგენს აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის მე-6 ასო - „T“ და გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული მეორე სიტყვიერი ელემენტის მე-6 ასო - „C“. ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ სადაო სასაქონლო ნიშნის, ქართული და კირილიცის ანბანით შესრულება, წარმოადგენს ტრანსლიტერაციას, რაც სააპელაციო კოლეგიის აზრით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სასაქონლო ნიშნები მიჩნეულ იქნას ვიზუალურად განსხვავებულად.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იდენტურია ფონეტიკური თვალსაზრისით. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი და სადაო სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ, გამოითქმის როგორც - „ესენციალე“. იმ შემთხვევაშიც კი თუ მომხმარებელი აპელანტის კუთვნილ სასაქონლო ნიშანს გამოთქვამს, როგორც „ესენტიალე“, ისინი მსგავსად გამოთქმის.

რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული ნაწარმი“. სადაო სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ” (საიდ. N81790/03) რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „კბილის დასაბჟენი საშუალებები, კბილის ტვიფრის დასამზადებელი საშუალებები; დეზინფექტანტები; მავნე ცხოველების

გასანადგურებელი საშუალებები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ აღრევამდე მსგავსია. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) [არის] წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის, მათ შორის, ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით ნებაყოფლობით რეგისტრირებული კომპლემენტარული სამკურნალო საშუალება, ბიოლოგიურად აქტიური დანამატი და პარასამკურნალო საშუალება“. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის საქონელი - „ფარმაცევტული ნაწარმი“ წარმოადგენს საქონლის ფართო კატეგორიას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სადაო სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის შემდეგ ჩამონათვალს: „კბილის დასაბჟენ საშუალებებს; კბილის ტვიფრის დასამზადებელ საშუალებებს. კერძოდ, კბილის დასაბჟენი საშუალებები და კბილის ტვიფრის დასამზადებელი საშუალებები წარმოადგენენ ფარმაცევტულ ნაწარმს, რომლებიც გამოიყენება სტომატოლოგიური მიზნებისათვის. ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ფარმაცევტული ნაწარმი და ფუნგიციდები და დეზინფექტანტები ასევე წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს საქონლის ჩამონათვალს, გამომდინარე იქიდან, რომ მათ შორის არსებობს ნაწილობრივი თანხვედრა იმ საქონლის მიმართ, რომელშიც ისინი გამოიყენება ფარმაცევტული მიზნებისათვის.

კოლეგია გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენლის მოსაზრებასათან დაკავშირებით, რომ საქპატენტი არ არის უფლებამოსილი ორგანო იმსჯელოს სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე აღნიშნავს, რომ „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საქმისწარმოება

მიმდინარეობს საქპატენთან არსებულ სააპელაციო პალატაში და არა საქპატენტში. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „ბიულეტენში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, სააპელაციო პალატაში შეიტანოს საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნები“. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საქპატენტის სააპელაციო პალატა უფლებამოსილია იმსჯელოს დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. ამასთან, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე გადაწყვეტილება გამოიცემა ბრძანების სახით, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60[1] მუხლის საფუძველზე, სააპელაციო პალატა უფლებამოსილია ბათილად ცნოს „ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ ბრძანება და გააუქმოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია თუ არსებობს ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ ეთანხმება გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენლის პოზიციას, სააპელაციო საჩივრის განხილვის სამთვიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი“. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, „ყველა დაუმთავრებელი საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება. სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული

ცენტრის საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დაინტერესებულ მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ან კოლეგიის ინიციატივით შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გადადება გონივრული ვადით, რის შესახებაც ეცნობებათ დაინტერესებულ მხარეებს“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დენა ჩერდება.“ სააპელაციო საჩივარი სასაქონლო ნიშანთან „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ (საიდ. N81790/03) დაკავშირებით საქპატენტთან არსებულ საპელაციო პალატაში შემოვიდა 2015 წლის 24 აგვისტოს. აღნიშნულ სააპელაციო საჩივარზე ზეპირი მოსმენა ჩაინიშნა 2015 წლის 6 ნოემბერს. გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „უნიმედ გრუპ კორპ“ დირექტორმა 2015 წლის 06 ნოემბრის სააპელაციო პალატას მომართა Nა-287 განცხადებით და მოითხოვა სასაქონლო ნიშანთან „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ“, დაკავშირებით, ჩანიშნული ზეპირი მოსმენის გადადება. სააპელაციო პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და ზეპირი მოსმენა გადადო 2015 წლის 19 ნოემბრისათვის. 19 ნოემბერს გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენლმა შუამდგომლობით მომართა სააპელაციო პალატის კოლეგიას ზეპირი სხდომის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ მას მცირე დრო ჰქონდა საქმის გაცნობისათვის. სააპელაციო პალატის კოლეგიამ, კვლავ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და ზეპირი სხდომა გადადო 2015 წლის 26 ნოემბერს.

კოლეგია არ ეთანხმება შპს „უნიმედ გრუპ კორპ“-ს წარმომადგენლის პოზიციას, რომლის თანახმად, აპელანტის კუთვნილ სასაქონლო ნიშანს არ გააჩნია უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პრიორიტეტი [არის] უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით“. ამავე

კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, თუ განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა“. აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE" პრიორიტეტის თარიღი არის 1995 წლის 26 დეკემბერი. სასაქონლო ნიშანი „ESSENTIALE" საქპატენტში დარეგისტრირდა 1997 წლის 28 მარტს მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული ნაწარმი“. 2007 წლის 28 მარტს განხორციელდა სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) რეგისტრაციის ვადის გაგრძელება 10 წლით. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) რეგისტრაციის მოქმედება ძალაშია 2017 წლის 28 მარტამდე.

ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია ასახულია საქპატენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sakpatenti.org.ge), ისევე, როგორც საქპატენტის ოფიციალურ ბიულეტენში.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) რეპუტაციის დადგენის მიზნით, გამოიკვლია საქმეში არსებული მასალები. კოლეგიამ მხედველობაში არ მიიღო ის მტკიცებულებები, რომლებიც არასათანადო წესით იყო წარმოდგენილი, მათ შორის, CD დისკით წარმოდგენილი 2011-2014 წლის ინვოისები და საბაჟო დეკლარაციები. ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგიის შეფასებით CD დისკით წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერით არ დასტურდება, რომ უკანასკნელი წარმოადგენს, სარეკლამო მასალას და მისი ტრანსლირება ხდებოდა საქართველოს ტელევიზიით და რადიოთი.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ კომპანიის „ა. ნატერმან & სიე. გმბჰ“ (A. NATTERMANN & CIE GmbH) მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, შპს „ავერსი ფარმას“ წერილი, რომელშიც მითითებულია შპს „ავერსი ფარმას“ მიერ 2011-2014 წლებში პრეპარატ „ესენციალეს“ და „ესენციალე ფორტეს“ იმპორტისა და რეალიზაციის მონაცემები ასევე, მის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები,

არ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ნიშნის „ESSENTIALE“ (რეგ. N4839) კარგი რეპუტაციის არსებობის ფაქტს. კოლეგიის აზრით, წარმოდგენილი მტკიცებულებები დაუსაბუთებელი და არასაკმარისია.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ა. ნატერმან & სიე. გმბჰ“ (A. NATTERMANN & CIE GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 მაისის N840/03 ბრძანება, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ” (საიდ. N81790/03) დარეგისტრირდა მე-5 კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. სასაქონლო ნიშანი „ესენციალე ESSENCIALE ЕСЕНЦИАЛЕ” (საიდ. N81790/03) დარეგისტრირდეს მე-5 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: “მავნე ცხოველების გასანადგურებელი საშუალებები; ჰერბიციდები“.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	ქ. კილაძე
	ს. ებრალიძე